საქართველოს პარლამენტი

2026 წლის მაისის თვის მაკროეკონომიკური გარემოს

მიმოხილვა

საქართველოს პარლამენტის
საბიუჯეტო ოფისი

2026

ივნისი

2026 წლის მაისის თვის მნიშვნელოვანი მაკროეკონომიკური მაჩვენებლები*

2

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპი

6.2%

აპრილი*

რეალური მშპ-ს ზრდის ტემპის ოთხი თვის საშუალო მაჩვენებელი **8.3%**

მაისში, სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 5.7% შეადგინა, ხოლო საბაზო ინფლაცია 3.5%-ით განისაზღვრა.

აპრილში* საქონლის ექსპორტი **21.1%**-ით გაიზარდა, ხოლო იმპორტი **4.9%**-ით შემცირდა.



აპრილში* ფულადმა გზავნილებმა **318.1** მლნ აშშ დოლარი შეადგინა.
ევროკავშირის ქვეყნები **- 44.5%;**
აშშ - 18.3%;
რუსეთი- 13.2%;
სხვა ქვეყნები - 24.0%.

აპრილში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი, დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე გაიზარდა.

მაისში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან **0.6%**-ით, ევროსთან მიმართებით კი **0.5%**-ით გამყარდა.

1. რეალური და ფისკალური სექტორი





2026 წლის აპრილში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, ეკონომიკურმა ზრდამ 6.2% შეადგინა.

სტატისტიკის ეროვნული სამსახურის წინასწარი შეფასებით, 2026 წლის აპრილში*, რეალური მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდის ტემპმა 6.2% შეადგინა, ხოლო იანვარ-აპრილის საშუალო მაჩვენებელი 8.3%-ს გაუტოლდა.

ეკონომიკურ ზრდაში მნიშვნელოვანი დადებითი წვლილი შეიტანა შემდეგმა დარგებმა: დამამუშავებელი მრეწველობა, ინფორმაცია და კომუნიკაცია, ტრანსპორტი და დასაწყობება, ვაჭრობა და საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები.

დღგ-ის გადამხდელ საწარმოთა ბრუნვის მაჩვენებელმა 2026 წლის აპრილში* 14,976.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 10.3%-ით აღემატება.

2026 წლის მაისში სამომხმარებლო ფასების წლიურმა ინფლაციამ 5.7% შეადგინა.

მაისში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, ინფლაციის დონე 5.7%-ით განისაზღვრა, ანუ მიზნობრივი ინფლაციის 3.0%-იან მაჩვენებელთან შედარებით მაღალი. წლიური ინფლაციის ფორმირებაზე ძირითადი გავლენა იქონია, ფასების დინამიკამ სურსათსა და უალკოჰოლო სასმელებზე, ტრანსპორტზე, საცხოვრებელზე, წყალზე, ელექტროენერგიაზე და აირზე. საბაზო ინფლაცია (სურსათის, ენერგომატარებლების, სიგარეტის ფასების გარდა, რომლებიც მაღალი მერყეობით ხასიათდებიან) 3.5%-ით განისაზღვრა.

2026 წლის აპრილში* მშპ-ის წლიურმა საპროგნოზო დეფლატორმა 3.6% შეადგინა.









2026 წლის აპრილში* ნაერთი ბიუჯეტის დადებითი მთლიანი სალდო დაფიქსირდა.

აპრილში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ნაერთი ბიუჯეტის შემოსავლები 14.0%-ით, ხოლო ხარჯები 6.0%-ით გაიზარდა. აღნიშნულ პერიოდში ნაერთი ბიუჯეტის დადებითი საოპერაციო სალდო 291.8 მლნ ლარით, ხოლო დადებითი მთლიანი სალდო 127.4 მლნ ლარით განისაზღვრა.

აღსანიშნავია, რომ 2026 წლის აპრილში* საგადასახადო შემოსავლებმა 2,182.9 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 13.5%-ით აჭარბებს. კერძოდ, გადასახადის სახეების მიხედვით, შემოსავლების სტრუქტურა ზრდის მიმართულებით შემდეგი სახით დაკორექტირდა : მოგების გადასახადი (32.2%),საშემოსავლო გადასახადი (13.6%-ით), ქონების გადასახადი (6.3%-ით), დღგ (5.6%-ით), კლების მიმართულებით შემდეგი სახით დაკორექტირდა: აქციზის გადასახადი (11.7%-ით) და იმპორტის გადასახადი (0.4%-ით). პირდაპირი გადასახადების წილმა მთლიან გადასახადებში 53.2%, შეადგინა, ხოლო არაპირდაპირმა - 46.8%.

აპრილში*, წინა წლის შესაბამის მონაცემთან შედარებით, არაფინანსური აქტივების 53.5%-იანი კლება (214.4 მლნ ლარით ნაკლები) დაფიქსირდა.



2026 წლის აპრილში*, გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, ეროვნულ ეკონომიკაზე როგორც ლარში, ასევე უცხოურ ვალუტაში გაცემული სესხები გაიზარდა.

აპრილში*, წინა წლის აპრილთან მიმართებით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემულმა სესხებმა 13.6%-ით მოიმატა და 70,760.3 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის, ლარში გაცემული სესხები 15.3%-ით, ხოლო უცხოურ ვალუტაში დენომინირებული სესხები 11.2%-ით გაიზარდა. კომერციული ბანკების მიერ გაცემულ სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელმა 42.4% შეადგინა. აღსანიშნავია, რომ ეროვნულ ეკონომიკაზე გაცემული სესხების ნახევარზე მეტი (54%) შინამეურნეობებზე მოდის (შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 85.4% ფიზიკურ პირებზეა, 14.6% კი ინდმეწარმეებზე). შინამეურნეობებზე გაცემული სესხების 38.6% სამომხმარებლო სესხია, ხოლო 61.4% უძრავი ქონებით არის უზრუნველყოფილი.

საქმიანობის სახეების მიხედვით, გაცემულ სესხებში ყველაზე მეტი - 22.6% გაცემულია მშენებლობის დარგში, 20.6% - ვაჭრობის, 16% - მრეწველობის, 15.1% - უძრავი ქონებით ოპერაციებში, 5.7% - სასტუმროებისა და რესტორნების დარგში.



2. საგარეო სექტორის ინდიკატორები



<u>2026 წლის აპრილში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, გაიზარდა საქონლის ექსპორტი, ხოლო შემცირდა იმპორტი.</u>

2026 წლის აპრილში* ექსპორტმა 21.1%-ით მოიმატა, ხოლო იმპორტი 4.9%-ით შემცირდა, რის შედეგადაც სავაჭრო ბრუნვა (არადეკლარირებული ვაჭრობის გარეშე) 1.7%-ით გაიზარდა და 8,132.8 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. ექსპორტის წილი საგარეო სავაჭრო ბრუნვაში 30.0%-ით განისაზღვრა. უმსხვილესი საექსპორტო ქვეყნებიდან ექსპორტის მნიშვნელოვანი ზრდა აღინიშნა შემდეგ ქვეყნებში: ჩინეთი (194%), თურქეთი (92%), უკრაინა (67%), ბულგარეთი (50%), სომხეთი (26%), რუსეთი (5%) და სხვა. ექსპორტი შემცირდა ყირგიზეთში (39%), ყაზახეთში (36%), აზერბაიჯანსა (2%) და სხვა ქვეყნებში.

აპრილში* საექსპორტო საქონლის მიხედვით, ზრდა დაფიქსირდა შემდეგ ჯგუფებში: ნავთობი და ნავთობპროდუქტები (922%), ძვირფასი ლითონების მადნები (134%), სპილენძის მადნები (119%), ფეროშენადნობები (92%), თხილი და სხვა კაკალი (58%), მინერალური და მტკნარი წყალი (39%), უალკოჰოლო სასმელები (10%), ყურძნის ნატურალური ღვინოების (2%). შემცირდა მსუბუქი ავტომობილების (29%) და სპირტიანი სასმელების (1%) საზღვარგარეთ გატანა.



2026 წლის აპრილში* ტრანსპორტირების სახეების მიხედვით ექსპორტის უდიდესი ნაწილი - 54.5% საავტომობილო ტრანსპორტით განხორციელდა, 38.0%- საზღვაო, 3.2% სარკინიგზო ტრანსპორტით, 4.2% - საჰაერო. ტრანსპორტირების დანარჩენი (მაგისტრალური მილსადენი, ელექტროგადამცემი ხაზები და სხვა) საშუალებების წილმა მხოლოდ 0.08% შეადგინა.



ამავე პერიოდში იმპორტის მნიშვნელოვანი ნაწილი - 43.0% საავტომობილო ტრანსპორტირებით განხორციელდა, 38.2% - საზღვაო, 6.6% - სარკინიგზო, 7.2% კი საჰაერო ტრანსპორტით. ტრანსპორტირების დანარჩენი სახეების წილმა 5.0 % შეადგინა.



იანვარ-აპრილში* საქართველოს ადგილობრივი ექსპორტი 1,551.0 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 73.5%-ით მეტია. აღნიშნულ პერიოდში 10 უმსხვილეს ქვეყანას, სადაც ადგილობრივი ექსპორტი განხორციელდა, წარმოადგენდა: ჩინეთი (მთლიანი ადგილობრივი ექსპორტის 16%), რუსეთი (12%), თურქეთი (11%), ბულგარეთი (8%) ტოგო (6%), სომხეთი (4%), შვეიცარია (3%), უკრაინა (3%), აზერბაიჯანი (3%), აშშ (2%).





<u>2026 წლის აპრილში* ფულადი გზავნილები გაიზარდა.</u>

აპრილში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, საქართველოში ფულადი გზავნილების ჩარიცხვები 7.6%-ით გაიზარდა და 318.1 მლნ აშშ დოლარი შეადგინა. გზავნილების ძირითად წყაროს ევროკავშირის ქვეყნები (141.5 მლნ აშშ დოლარი, გზავნილების მთლიანი ოდენობის 44.5%) და აშშ (58.3 მლნ აშშ დოლარი, 18.3%) წარმოადგენდნენ.

რუსეთიდან გზავნილები 5.5%-ით გაიზარდა და 42.0 მლნ აშშ დოლარს გაუტოლდა (წილი 13.2%).

საანალიზო პერიოდში განსაკუთრებით მნიშვნელოვანი იყო ფულადი გზავნილების ოდენობა იტალიიდან (53.4 მლნ აშშ დოლარი, წილი 16.8%), გერმანიიდან (28.6 მლნ აშშ დოლარი), ისრაელიდან (27.2 მლნ აშშ დოლარი), საბერძნეთიდან (25.4 მლნ აშშ დოლარი), თურქეთიდან (11.6 მლნ აშშ დოლარი), ესპანეთიდან (8.7 მლნ აშშ დოლარი), ყაზახეთიდან (8.1 მლნ აშშ დოლარი) საფრანგეთიდან (6.4 მლნ აშშ დოლარი) და სხვა ქვეყნებიდან.



<u>2026 წლის მაისში საერთაშორისო რეზერვებმა 7,001.9 მლნ აშშ დოლარი შეადგინა.</u>

მაისში, საერთაშორისო რეზერვების მოცულობა 7,001.9 მლნ აშშ დოლარით განისაზღვრა, რაც 2025 წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით, 52.7%-ით, ხოლო წინა თვესთან მიმართებით კი 8.2%-ით გაიზარდა.

2026 წლის მაისში საქართველოს ეროვნულ ბანკს სავალუტო აუქციონზე ოპერაციები არ განუხორციელებია.

რეზერვების ადეკვატურობის შესაფასებლად, როგორც წესი, გამოიყენება 3 თვის იმპორტის ჯერადი.

დამატებითი ინფორმაციისთვის იხილეთ <u>ბმული.</u>

3. მონეტარული სექტორის ინდიკატორები

2026 წლის აპრილში*, წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მონეტარული ბაზა გაიზარდა.

აპრილში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, მონეტარულმა ბაზამ 0.9%-ით მოიმატა. მათ შორის, მიმოქცევაში არსებული ნაღდი ფული 9.9%-ით გაიზარდა, ხოლო სხვა დეპოზიტური კორპორაციების მიმართ ვალდებულებები 6.9%-ით შემცირდა.

ამავე პერიოდში ფულის M2 აგრეგატმა 25.3%-ით მოიმატა, ხოლო M3 აგრეგატის ზრდის ტემპი 17.1%-ს გაუტოლდა. 2026 წლის მაისში, წინა წლის შესაბამის პერიოდთან მიმართებით, სამომხმარებლო ფასების ინფლაციამ 5.7% შეადგინა.

ფულის მასა და სამომხმარებლო ფასები
(%-ლი ცვლილება)



2026 წლის მაისში მთავრობის მიერ ემიტირებულმა სახაზინო ფასიანი ქაღალდების ნომინალურმა ღირებულებამ 12,270.0 მლნ ლარი შეადგინა. მათ შორის: 67.0% კომერციული ბანკების მფლობელობაშია, 9.2% - ეროვნული ბანკის, ხოლო 23.8% სხვა რეზიდენტი და არარეზიდენტი კლიენტების მფლობელობაში (რეზიდენტი - 16.7%, არარეზიდენტი - 7.1%).

სახაზინო ფასიანი ქაღალდები მფლობელების მიხედვით
(მაისი)



2026 წლის აპრილში*, კომერციული ბანკების მიერ მოზიდულმა დეპოზიტების საერთო მოცულობამ (ნაშთმა) 71,465.4 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 19.1%-ით აღემატება. მათ შორის, ეროვნულ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 53.0% შეადგინა, ხოლო უცხოურ ვალუტაში განთავსებულმა დეპოზიტებმა 47.0%.

აპრილის* თვის ბოლოს არსებული მონაცემებით, ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 61.4% იურიდიულ პირებს, ხოლო 38.6% ფიზიკურ პირებს ეკუთვნის.

ამავე პერიოდში უცხოურ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 66.0% ფიზიკურ პირებს , ხოლო 34.0% იურიდიულ პირებს ეკუთვნის.

დეპოზიტები
აპრილი



ეროვნულ ვალუტაში განთავსებული დეპოზიტების 57.4% ვადიანი დეპოზიტებია, 23.4% მოთხოვნამდე დეპოზიტები, ხოლო 19.2% მიმდინარე ანგარიშები.

უცხოური ვალუტის შემთხვევაში, ყველაზე დიდი წილი ვადიან დეპოზიტებს უკავია (38.7%), შემდეგ - მოთხოვნამდე დეპოზიტებს (35.9%) და მიმდინარე ანგარიშებს (25.4%).



<u>2026 წლის აპრილში*, წინა თვესთან შედარებით, დოლარიზაციის მაჩვენებელი დეპოზიტებზე შემცირდა, ხოლო სესხებზე გაიზარდა.</u>

აპრილში*, წინა თვესთან მიმართებით, დეპოზიტების დოლარიზაციის მაჩვენებელი 0.20 პპ-ით შემცირდა და 44.3%-ით განისაზღვრა, სესხებზე დოლარიზაციის მაჩვენებელი კი 0.01პპ-ით გაიზარდა და 42.4% შეადგინა.

აპრილის* თვეში, წინა თვესთან შედარებით, ეროვნული ვალუტით განთავსებული დეპოზიტები 0.3%-ით გაიზარდა, ხოლო უცხოური ვალუტით განთავსებული დეპოზიტების მოცულობა 0.5%-ით შემცირდა..



2026 წლის აპრილში*, სამომხმარებლო სესხების მოცულობამ 15,342.6 მლნ ლარი შეადგინა, ანუ წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელზე 20.6%-ით მეტი. მათ შორის, გრძელვადიანი სესხების წილი 97.4%-ია, ხოლო მოკლევადიანის - მხოლოდ 2.6%.



ამავე პერიოდში, უძრავი ქონებით უზრუნველყოფილი სესხების მოცულობამ 47,741.7 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიურ მაჩვენებელს 15.8%-ით აღემატება. აქედან, ეროვნული ვალუტით გაცემული სესხების წილი 49.6%-ია, ხოლო უცხოური ვალუტით - 50.4%.



აპრილის* ბოლოს არსებული მონაცემებით, რეგიონების მიხედვით, კომერციული ბანკების მიერ ეროვნულ ვალუტაში სესხების 65.3% გაცემულია თბილისში, 7.4% - იმერეთში, 7.2% - აჭარის ავტონომიურ რესპუბლიკაში, 4.6% - კახეთში, 4.6% - ქვემო ქართლში, 3.8% - სამეგრელო-ზემო სვანეთში. სხვა რეგიონებში გაცემული სესხების წილი შედარებით მცირეა.

2026 წლის აპრილში*, წინა თვესთან მიმართებით, საპროცენტო განაკვეთი დეპოზიტებზე 0.41 პპ-ით, ხოლო სესხებზე 0.30 პპ-ით გაიზარდა.

აპრილში*, საბაზრო საპროცენტო განაკვეთმა სესხებზე 13.3% შეადგინა, ხოლო დეპოზიტებზე 7.1%-ით განისაზღვრა. საპროცენტო განაკვეთის სპრედმა (სხვაობა სესხებსა და დეპოზიტებზე საპროცენტო განაკვეთებს შორის), აპრილის* მდგომარეობით, 6.3% შეადგინა, 1.04 პპ-ით ნაკლები წინა წლის აპრილთან შედარებით.

საქართველოს ეროვნული ბანკის მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის 2026 წლის 6 მაისის გადაწყვეტილებით, რეფინანსირების განაკვეთი გაიზარდა 0.25 პპ-ით და 8.25% შეადგინა.





2026 წლის მაისში, წინა თვესთან შედარებით, ლარი აშშ დოლართან და ევროსთან მიმართებით გამყარდა.

მაისში, წინა თვესთან შედარებით, ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 0.6%-ით, ევროს მიმართ 0.5%-ით და თურქულ ლირასთან 2.3%-ით გამყარდა. ამავე პერიოდში გამყარდა ნომინალური ეფექტური გაცვლითი კურსი. რაც შეეხება გასული წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებას, აპრილში ლარის გაცვლითი კურსი აშშ დოლარის მიმართ 2.3%-ით გამყარდა, ევროს მიმართ 1.1%-ით გაუფასურდა, ხოლო თურქულ ლირასთან მიმართებით 20.0%-ით გამყარდა.

მაისის თვეში, პერიოდის საშუალო ლარის გაცვლითმა კურსმა აშშ დოლართან მიმართებით 2.68, ევროს მიმართ 3.13, თურქულ ლირასთან მიმართებით კი 0.06 შეადგინა.

4. სოციალური სფეროს მიმოხილვა

2025 წლის IV* კვარტალში, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიური ნომინალური ხელფასი გაიზარდა.

2025 წლის IV* კვარტალში დაქირავებით დასაქმებულთა საშუალო თვიურმა ნომინალურმა ხელფასმა 2,466.2 ლარი შეადგინა, რაც გასული წლის შესაბამისი პერიოდის მაჩვენებელთან შედარებით 11.2%-ით (248.7 ლარით) მეტი, ხოლო წინა კვარტალთან მიმართებით 8.6%-ით (194.6 ლარით) მეტია.

რაც შეეხება დარგების მიხედვით საშუალო თვიური ნომინალური ხელფასის ცვლილებას, 2025 წლის IV* კვარტალში ყველაზე მაღალი საშუალო თვიური ხელფასი დაფიქსირდა ინფორმაციისა და კომუნიკაციის (4,373.2 ლარის ოდენობით, 9.1% წლიური ზრდა), მშენებლობის (3,938.9 ლარი, ზრდა 17.2%), საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობის (3,747.7 ლარის ოდენობით, ზრდა 11.1%), აგრეთვე პროფესიული, სამეცნიერო-ტექნიკური საქმიანობის დარგებში (3,385.0 ლარი, ზრდა 3.9%).





2026 წლის აპრილში*, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან მიმართებით, სახელმწიფო დანახარჯები როგორც განათლებაზე, ასევე ჯანდაცვაზე გაიზარდა.

აპრილში*, განათლებაზე გაწეულმა ხარჯებმა (ფუნქციონალურ კლასიფიკაციაზე დაყრდნობით) 262.2 მლნ ლარი შეადგინა, რაც წინა წლის ანალოგიური პერიოდის მონაცემთან მიმართებით, 2.2%-ით მეტია. ჯანდაცვაზე გაწეული დანახარჯები კი 162.5 მლნ ლარით განისაზღვრა, ანუ წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით 14.0%-ით მეტი.

5. რეგიონული მიმოხილვა

2026 წლის მაისში, რეგიონის ქვეყნებში, თურქეთის გარდა, სამომხმარებლო ფასების ინფლაცია დაახლოებით მსგავსი დინამიკით ხასიათდება. კერძოდ, საანალიზო პერიოდში თურქეთში წლიურმა ინფლაციამ 32.6%, ხოლო სომხეთში 4.2% შეადგინა. რაც შეეხება აზერბაიჯანსა და რუსეთს, 2026 წლის აპრილის მდგომარეობით, სამომხმარებლო ფასები, წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით, აზერბაიჯანში 5.5%-ით, ხოლო რუსეთში 5.6%-ით გაიზარდა.





2026 წლის მაისის თვეში, რეგიონის ქვეყნების ვალუტების გაცვლითი კურსები, აშშ დოლართან მიმართებაში, თურქული ლირის გარდა, გამყარდა. წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით, მაისში აშშ დოლართან მიმართებით თურქული ლირა 14.8%-ით გაუფასურდა, ხოლო გამყარდა რუსული რუბლი 10.7%-ით, სომხური დრამი 5.0%-ით, ქართული ლარი 2.3%-ით, აზერბაიჯანული მანათი კი 0.03%-ით.

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შემაჯამებელი ცხრილები

	მაი 25	ივნ 25	ივლ 25	აგვ 25	სექ 25	ოქტ 25	ნოე 25	დეკ 25	იან 26	თებ 26	მარ 26	აპრ 26	მაი 26
მშპ-ს ზრდის ტემპი (%)	7.5	6.3	6.5	6.6	6.4	6.0	7.2	7.2	7.9	8.8	10.7	6.2	
დღგ-ს ბრუნვების ზრდის ტემპი (%)	13.0	8.7	9.2	9.0	9.2	7.0	10.1	11.0	5.9	10.7	13.4	10.3	
ინფლაცია (%)	3.5	4.0	4.3	4.6	4.8	5.2	4.8	4.0	4.8	4.6	4.3	5.9	5.7
მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (%)	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.00	8.25
დეპოზიტების დოლარიზაცია (%)	0.48	0.47	0.47	0.47	0.47	0.47	0.46	0.44	0.44	0.43	0.44	0.44	
სესხების დოლარიზაცია (%)	0.43	0.43	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	0.42	
გაცვლითი კურსი (ლარი)	2.74	2.73	2.71	2.70	2.71	2.72	2.71	2.70	2.70	2.68	2.72	2.70	2.68
გზავნილები (ათასი აშშ დოლარი)	317,421	315,507	336,988	321,548	317,792	318,709	298,395	340,484	282,637	295,319	320,600	318,056	
ექსპორტი (მლნ აშშ დოლარი)	580	640	610	603	703	684	782	673	480	546	697	716	
იმპორტი (მლნ აშშ დოლარი)	1,486	1,511	1,609	1,497	1,565	1,559	1,514	1,902	1,196	1,393	1,622	1,482	
სავაჭრო ბალანსი (მლნ აშშ დოლარი)	-906.2	-870.7	-998.2	-894.3	-861.7	-874.3	-731.8	-1,228.6	-715.7	-847.1	-924.7	-765.5	
საერთაშორისო რეზერვები (მლნ აშშ დოლარი)	4,585.1	4,688.4	5,022.0	5,203.6	5,427.1	5,603.5	5,816.1	6,158.9	6,299.6	6,660.0	6,316.6	6,470.8	7,002
შემოსავლები (მლნ ლარი)	2,818.7	2,608.6	2,387.1	2,117.9	2,499.4	2,296.7	2,264.4	2,874.5	2,302.4	2,032.5	2,607.5	2,347.9	
მიმდინარე ხარჯები (მლნ ლარი)	1,872.3	2,000.4	2,252.4	1,724.8	1,845.3	2,033.9	1,687.5	3,738.7	2,005.0	1,911.6	2,108.5	2,056.1	
კაპიტალური ხარჯები (მლნ ლარი)	331.5	453.5	370.8	400.2	578.5	320.8	344.4	1,116.7	229.6	198.5	334.8	184.8	

ზრდა კლება ცვლილება < 1%

ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება გასული წლის შესაბამისი თვის ანალოგიურ მონაცემებთან



ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლების შედარება წინა თვის ანალოგიურ მონაცემებთან



დოკუმენტი ინტერაქტიულ ფორმატში
შეგიძლიათ იხილოთ

ინტერაქტიული სტატისტიკა (ინფოგრაფიკები)
შეგიძლიათ იხილოთ

საქართველოს პარლამენტი